ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4559025

ნომერი: AR1689093

თარიღი : 19.06.2019

გაცემის თარიღი : 25.06.2019

გაცნობის თარიღი : 25.06.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქეთევან წამებულის გამზირი N98;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბარნაბიშვილი პ/ნ 01009010768
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 2 ბ. 35

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

ვინაიდან მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით წარმოადგინეთ იპოთეკარის, სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“-ს წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა შენობა/ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში დამატებით წარმოადგინეთ თანხმობაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება. წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. სამსახურს წერილობითი დასტურის გაცემის მოთხოვნით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ ან მოსარგებლემ, ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა.

გაითვალისწინეთ თუ სამსახურს მომართავს საპროექტო ფართის მოსარგებლე, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობა, დამოწმებული სათანადო წესით განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.

გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. თუ დაგეგმილი სამუშაოებით ეხებით სხვის სარგებლობაში არსებულ ფართს წარმოდგენილ იქნეს ყველა ასეთი პირი სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები. თუ არ ეხებით განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.